პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთისა 47-ე წელი
№ 140 (13534) | კვირა, 19 ივნისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

19 ივნისი მედიცინის მუშაკის დღეა

საქართველოს მედიცინის მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმიის საუკეთესო წარმომადგენლების ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) ექიმი ლიდა ლლონტი, პროფესორი გიორგი ხუნდაძე, ექიმები ქსენია ზვიადაძე, მარიამ მუჩაიძე, ია გორგაძე, აკადემიკოსი კონსტანტინე ერისთავი, პროფესორი კოტე ჩაჩავა, ექიმი თამარ უგულავა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მედიცინის მუშაკებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მიესალმებიან და მხურვალედ ულოცავენ დღესასწაულს რესპუბლიკის მედიცინის მუშაკებს.

წელს პირველად აღინიშნება „მედიცინის მუშაკის დღე“.

ამ დღესასწაულის დაწესება მოწმობს მედიცინის მუშაკთა დიდ დამსახურებას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სამედიცინო დახმარების აღორძინაში, ადასტურებს საბჭოთა, საზოგადოების ცხოვრებასა და განვითარებაში მედიცინის მუშაკთა როლისა და მნიშვნელობის აღიარებას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ შრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და განუწყვეტლივ გაუმჯობესებისათვის, მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

წლითიწლობით იზრდება ასიგნებანი ხალხის ჯანმრთელობისათვის, მწყობრში დგებიან თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით აღჭურვილი ახალი სამედიცინო დაწესებულებანი, სულ უფრო და უფრო იზრდება დისპანსერული მეთვალყურეობა მოსახლეობის ფართო ფენებისადმი.

ახალი დიდი ამოცანები დაუსახეს მედიცინის მუშაკებს სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა და დირექტივებმა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო უსურვებენ მედიცინის ყველა მუშაკს ახალ წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში და გამოთქვამენ რწმენას, რომ ისინი მიაღწევენ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და კულტურის შემდგომ ამაღლებას, მუდამ პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას შრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე და არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ მედიცინის მუშაკებს მინდობილი აქვთ ყველაზე ძვირფასი რამ — ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

მედიცინის მუშაკის დღის აღსანიშნავად

17 ივნისს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა თბილისის საზოგადოებრივობის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მედიცინის მუშაკის დღეს.

სხდომა გახსნა თბილისის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ე. ბუხრაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგემ დ. ბ. ლაშქარაძემ წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით დაჯილდოებულთა ჩამონათვალი.

ამ ჩამონათვალში ასეთ ადამიანთა ოცეულ-ოცეულ ეწოდა: ... ლაშქარაძემ, ...

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ნაყოფიერი მუშაობისა და დამსახურებისათვის, მედიცინის მუშაკთა დღესასწაულთან დაკავშირებით მიენიჭოს საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმისა

1. **აბაშიძეს** ელენე დავითის ასულს — თბილისის ბავშვთა პირველი გაერთიანებული საავადმყოფოს ექიმს.
2. **აბაშიძეს** თამარ ვლადიმერის ასულს — თბილისის მე-9 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილეს.
3. **აბაშიძეს** ლევან ნესტორის-ძეს — თბილისის ქალაქის მე-2 საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
4. **აბასაძეს** დანიელ ჩიპიას-ძეს — დუშეთის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
5. **აბუთაძეს** ალექსანდრე გრიგოლის-ძეს — ამბროლაურის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ექიმს.
6. **აბულაძეს** პავლე ივანეს-ძეს — თბილისის მე-3 პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.
7. **ადამიას** თამარ იაკობის ასულს — თბილისის ბავშვთა მე-5 პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.
8. **აკოფოვს** არტემ მიხეილის-ძეს — თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს მე-2 თერაპიული განყოფილების გამგეს.
9. **ანდრიაძეს** ტატიანა იოსების ასულს — თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის უფროსს ექიმს.
10. **ანვლედიანს** ირაკლი ვლადიმერის-ძეს — თბილისის 26-ე პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.
11. **ანვლედიანს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს — პენსიონერს.
12. **ბარბაქაძეს** გიორგი იოსების-ძეს — ხაშურის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
13. **ბასტაძეს** პოლიკარპე გიორგის-ძეს — თბილისის რკინიგზის № 2 პოლიკლინიკის უფროსს.
14. **ბეგიაშვილს** თამარ ალექსანდრეს ასულს — თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს ექიმს.
15. **ბენდაშვილს** ქეთევან მარკოზის ასულს — თბილისის პირველი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმს.
16. **ბეჟანოვს** არშაკ მიხეილის-ძეს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მასწავლებელს.
17. **ბერიას** ლუკიანე ილარიონის-ძეს — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს პირველი ქირურგიული განყოფილების გამგეს.
18. **ბერძენიშვილს** ნორა გაბრიელის ასულს — თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ექიმს.
19. **ბოჭინიშვილს** ილია აბრამის-ძეს — კასპის რაიონული პოლიკლინიკის გამგეს.
20. **ბოსტოღანაშვილს** ნინო იოსების ასულს — რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
21. **ბოჭორიშვილს** პოლიკარპე სარდიონის-ძეს — რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ექიმს.
22. **ბრეგაძეს** ელეფთერ მინას-ძეს — ტყიბულის კინოსა და ვენერიულ სნეულებათა დისპანსერის მთავარ ექიმს.
23. **ბროლაძეს** გიორგი არტემის-ძეს — თბილისის ქალაქის მე-2 საავადმყოფოს ექიმს.
24. **ბუღაძეს** შოთა დიმიტრის-ძეს — ა/კ სამხედრო ოლქის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის განყოფილების გამგეს.
25. **გაბიჩვაძეს** მარიამ ივანეს ასულს — თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიური განყოფილების გამგეს.
26. **გაბუნიას** აკაკი გიორგის-ძეს — ქუთაისის რესპუბლიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
27. **გამსახურდიას** ნინო ალექსენტის ასულს — თბილისის მე-2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის განყოფილების გამგეს.
28. **გარნოვსკის** ლიუდვიგ ვლადიმერის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროს ინსპექტორს.
29. **გარჩინელაძეს** ვახტანგ მაქსიმეს-ძეს — საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარეს.
30. **გეგელაშვილს** თამარ სოლომონის ასულს — თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს მოზარდთა კაბინეტის გამგეს.
31. **გელოვანს** დავით ივანეს-ძეს — თბილისის ქალაქის მე-8 საავადმყოფოს ექიმს.
32. **გვიშიანს** შალვა ფარნაოზის-ძეს — თელავის რაიონის ფშავლის საუბნო საავადმყოფოს გამგეს.
33. **გვრიტიშვილს** ილარიონ ვასილის-ძეს — თბილისის მე-3 სასწრაფო სამედიცინო დახმარების საავადმყოფოს ექიმს.
34. **გიგინეიშვილს** ვერა ვარლამის ასულს — თბილისის 26 კომისრის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის განყოფილების გამგეს.
35. **გიგინეიშვილს** შალვა ათანასეს-ძეს — რკინიგზის ცენტრალური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის უფროსს.
36. **გიორგაძეს** გრიგოლ ნესტორის-ძეს — ქუთაისის რკინიგზის საავადმყოფოს ექიმ-რენტგენოლოგს.
37. **გიორგაძეს** ვახტანგ იოსოს-ძეს — ქუთაისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს გინეკოლოგიის მთავარ ექიმს.
38. **გობეჩიას** ბეგლარ ბეგლარის-ძეს — გეგეჭკორის რაიონული საავადმყოფოს ორგ. მეთოდ. კაბინეტის გამგეს.
39. **გოგავას** იასონ სარდიონის-ძეს — სანატორიუმ „აპარის" მთავარ ექიმს.
40. **გოგოხიას** შოთა დორიმედონტის-ძეს — აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს.
41. **გოგენიაშვილს** მიხეილ იაგორის-ძეს — საგარეჯოს რაიონის ხაშმის საუბნო საავადმყოფოს გამგეს.
42. **გოგუაძეს** მარგალიტა იოსების ასულს — თბილისის ქალთა მე-16 კონსულტაციის გამგეს.
43. **გოცირიძეს** თინა ემელიანეს ასულს — თბილისის მე-3 სამშობიაროს სახლის განყოფილების გამგეს.
44. **გრძელიშვილს** ლუბა ნიკოლოზის ასულს — თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს ექიმს.
45. **დადიანეს** მიხეილ ნიკოლოზის-ძეს — რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ექიმს.
46. **დამოცევს** გიორგი ქრისტეფორეს-ძეს — რესპუბლიკური კლინიკა და ვენერიულ სნეულებათა დისპანსერის განყოფილების გამგეს.
47. **დანელიას** შოთა ბათლომეს-ძეს — ქუთაისის ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს.
48. **დარჯანიას** კონსტანტინე ბესარიონის-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განყოფილების საავადმყოფოს ექიმს.
97. **მირაქაშვილს** ანტონ ბონიფენტურის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ყელ-ყურ-ცხვირის კაბინეტის გამგეს.
98. **მიქატაძეს** ბენიამინ ვლადიმერის-ძეს — საქართველოს საბჭოთა მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირების პოლიკლინიკის ექიმს.
99. **მიტრიუშინს** ფილიპე პეტრეს-ძეს — განყოფილების უფროსს.
100. **მონასელიძეს** დორა მიხეილის ასულს — თბილისის ბავშვთა პირველი საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
101. **მოსაშვილს** შალვა ლუკას-ძეს — თბილისის ბავშვთა მე-6 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილეს.
102. **მურულიას** ნიკოლოზ დიმიტრის-ძეს — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიის წევრს.
103. **მშველიძეს** ლიდა გიორგის ასულს — სანატორიუმ „ლიკანის" სამედიცინო განყოფილების გამგეს.
104. **მშვილდაძე-ჩიქოვანს** მარგალიტა გალაქტიონის ასულს — თბილისის ბავშვთა მე-18 პოლიკლინიკის ექიმს.
105. **მხეიძეს** გრიგოლ ფილიპეს-ძეს — ქუთაისის ქალაქის ბავშვთა საავადმყოფოს გაერთიანების სასკოლო ექიმს.
106. **მხეიძეს** ოლღა კონდრატის ასულს — თბილისის ბავშვთა მე-17 პოლიკლინიკის განყოფილების გამგეს.
107. **მხეიძეს** ქეთევან ალექსანდრეს ასულს — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სანატორიუმ „ბორჯომი" ექიმ-ფიზიოთერაპევტს.
108. **მხეიძეს** ფრიდონ ივანეს-ძეს — ბოლნისის რაიონის საუბნო საავადმყოფოს გამგეს.
109. **ნადარაიას** გიორგი პლატონის-ძეს — თბილისის ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მთავარ ეპიდემიოლოგს.
110. **ნავროზაშვილს** ნადეჟდა ალექსანდრეს ასულს — თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ექიმს.
111. **ნაზარიშვილს** მარიამ ჰეტრეს ასულს — თბილისის პირველი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმს.
112. **ნასიძეს** სერგო სერგოს-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განყოფილების ექიმს.
113. **ნატრაძეს** თამარ გრიგოლის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმს.
114. **ნეკლიუდოვს** მიხეილ იულოს-ძეს — თეთრწყაროს რაიონის მთავარი ექიმის მოადგილეს.
115. **ნიჩეხნიუკს** ალექსი მარკეს-ძეს — სამედიცინო განყოფილების უფროსს.
116. **ნიკოლაიშვილს** ალექსი ირაკლის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმს.
117. **ნიკოლაიშვილს** ლუბა მელქისედეკის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ქირურგიული კაბინეტის გამგეს.
118. **ნინიკაშვილს** ნიკოლოზ სისოს-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სამედიცინო სანიტარული ნაწილის ექიმს.
119. **ოდიშარიას** გივი ამბროსის-ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
120. **ოდიშვილს** ნინო მათეს ასულს — თბილისის მე-13 პოლიკლინიკის უბნის ექიმს.
121. **პაპავას** ილია პავლეს-ძეს — თბილისის მე-4 პოლიკლინიკის უბნის ექიმს.
122. **პაპისოვს** მიხეილ სტეფანეს-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორს.
123. **პარადაშვილს** მარიამ გიორგის ასულს — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განყოფილების ექიმს.
124. **პატარაია-შენგელაიას** ალექსანდრა მიხეილის ასულს — ზუგდიდის რაიონის ექიმ-პედიატრს.
125. **პახლევანიშვილს** ანა სისაკის ასულს — პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს რწმუნებული ექიმს.
126. **პერტიას** ალექსანდრე ისიდორეს-ძეს — უფროს ექიმს.
127. **ფავანას** ვერა ანთიმოზის ასულს — ბალნეოლოგიური კურორტის ექიმ-რენტგენოლოგს.
128. **ფავანას** ტარასი კონსტანტინეს-ძეს — ხობის რაიონის საჯიჯაოს საუბნო საავადმყოფოს გამგეს.
129. **სადომაშვილს** ვახტანგ ალექსის-ძეს — აბასთუმნის სანატორიუმის უფროსის მოადგილეს.
130. **საყვარელიძეს** ვლადიმერ ილიას-ძეს — რესპუბლიკური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.
131. **სიმონიშვილს** ქეთევან ვლადიმერის ასულს — რესპუბლიკური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილეს.
132. **სირაძეს** ვახტანგ ვერასამეს-ძეს — წყალტუბოს რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
133. **სიხინავას** გრიგოლ ნიკოლოზის-ძეს — აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ თერაპევტს.
134. **სოკოლოვსკაიას** ნინო ივანეს ასულს — აპარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ბავშვთა საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
135. **სულამანიძეს** ალექსანდრე მიხეილის-ძეს — პროფკავშირთა საქართველოს კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგის მოადგილეს.
136. **სხირტლაძეს** შალვა ალექსის-ძეს — ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის თერაპიის I კათედრის ასისტენტს.
137. **ტრაპაიძეს** სერგო კაპიტონის-ძეს — თბილისის მე-5 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.
138. **ტუღმალაძეს** ნინო ვასილის ასულს — თბილისის ქალთა მე-5 კონსულტაციის უბნის ექიმს.
139. **ფანცულაიას** ზინაიდა ილარიონის ასულს — აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური სამკურნალო სექტორის მთავარ ექიმს.
140. **ფანჯავიძეს** აკაკი სერაფიმონის-ძეს — თბილისის № 3 სამშობიარო სახლის განყოფილების გამგეს.
141. **ფარცხალაძეს** მარიან მელქისედეკის-ძეს — თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
142. **ფაღავას** გრიგოლ ბესარიონის-ძეს — საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის მე-2 განყოფილების უფროსს.
143. **ფაღავას** ილია ბესარიონის-ძეს — ბალნეოლოგიური კურორტის პოლიკლინიკის გამგეს.
144. **ფერაძეს** ვასილ არტემის-ძეს — თბილისის რკინიგზის პოლიკლინიკის უფროსს.
145. **ფირალოვას** ნატალია ფირანის ასულს — თბილისის ბავშვთა პირველი ინფექციური საავადმყოფოს ექიმს.
146. **ფირცხალაიშვილს** ეკატერინე ალექსანდრეს ასულს — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს სურდოლოგიური კაბინეტის გამგეს.
147. **ფულარიანს** გრიგოლ ერმალოს-ძეს — მიაკოვსკის რაიონული საავადმყოფოს ექიმს.
148. **ფჩოლკინს** ნიკოლოზ გრიგოლის-ძეს — სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სექტორის გამგეს.
149. **ფხაკაძეს** მიხეილ სამსონის-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განყოფილების პოლიკლინიკის უფროსს მოადგილეს.
150. **ფხოველიშვილს** ზაალ ივანეს-ძეს — ყვარლის რაიონული საავადმყოფოს ექიმ-რენტგენოლოგს.
151. **ქემოკლიძეს** ვერა თომას ასულს — პენსიონერს.
152. **ქემხაძეს** ეკატერინე კონსტანტინეს ასულს — აპარის ასსრ სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ლაბორატორიის გამგეს.
153. **ქათამაძეს** შალვა მიხეილის-ძეს — წულუკიძის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
154. **ქარუშიძეს** ანასტასია გიორგის ასულს — თბილისის ოქტომბრის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ექიმს.
155. **ღამბაშიძეს** გენადი ქსენოფონტის-ძეს — მარნეულის რაიონის შაუმიანის სადამო საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
156. **ღვაბერიძეს** გრიგოლ იოსების-ძეს — თბილისი რკინიგზის ცენტრალური პოლიკლინიკის ექიმს.
157. **ღლონტს** გრიგოლ ისიდორეს-ძეს — თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს ელექტროკარდიოგრაფიული კაბინეტის გამგეს.
158. **ღლონტს** ნინო ირაკლის ასულს — თბილისის ტუბერკულოზის პირველი საავადმყოფოს ლაბორატორიის გამგეს.
159. **ღონღლაძეს** ანორია ნიკოლოზის-ძეს — თბილისის ქალაქის მე-4 საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
160. **ყავრიშვილ-კორინთელს** ალექსანდრა კონსტანტინეს ასულს — თბილისის ბავშვთა მე-8 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმს.
161. **ყვავიშვილს** ივანე ზაქარიას-ძეს — გურჯაანის რაიონული საავადმყოფოს ექიმს.
162. **ყიფიანს** ალექსი პლატონის-ძეს — სახელმწიფო გაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მეშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის განყოფილების გამგეს.
163. **ყურაშვილს** ბერტა ბორისის ასულს — ცაგერის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
164. **შალამბერიძეს** გიორგი თეიმურაზ-ძეს — ქუთაისის ტუბერკულოზის დისპანსერის მთავარ ექიმს.
165. **შარაშენიძეს** სერგო ალექსანდრეს-ძეს — სამტრედიის რაიონისა და რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
166. **შახ-მირზა** ნაზირე ხანუმს — თბილისის რკინიგზის პოლიკლინიკის ექიმს.
167. **შენგელიას** სერაპიონ ალექსის-ძეს — ზუგდიდის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების ექიმს.
168. **შერვაშიძეს** ვახტანგ ვარლამის-ძეს — სანატორიუმ „აფხაზეთის" მთავარ ექიმს.
169. **შველიძეს** ნიკოლოზ ერმალოზის-ძეს — ორჯონიკიძის რაიონის ღორეშის საუბნო საავადმყოფოს გამგეს.
170. **შურღაიას** სოლომონ ბახვას-ძეს — გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის ამბულატორიის გამგეს.
171. **ჩაჩავას** ქეთევან ვარლამის ასულს — თბილისის რკინიგზის ბავშვთა საავადმყოფოს ექიმს.
172. **ჩაჩანიძეს** სიმონ ალექსანდრეს-ძეს — საჩხერის ტუბერკულოზის დისპანსერის მთავარ ექიმს.
173. **ჩაჩხიანს** ივანე ამბროსის-ძეს — თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის პოლიკლინიკის ექიმს.
174. **ჩიქოვანს** ილარიონ ამბროსის-ძეს — თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ექიმს.
175. **ჩიქოვანს** ლავრენტი მალაქიას-ძეს — ჩხოროწყუს რაიონული საავადმყოფოს პოლიკლინიკის ექიმს.
176. **ჩიქოვანს** სამსონ სამსონის-ძეს — მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო სანატორიუმ „სოხუმის" უფროსს.
177. **ჩიჩუას** ალექსანდრე ალექსის-ძეს — სამედიცინო პუნქტის უფროსს.
178. **ჩიჯავაძეს** ელენე დავითის ასულს — პენსიონერს.
179. **ჩოტორელიძეს** პლატონ სიპატოს-ძეს — ვანის რაიონის ზენიდრის საუბნო საავადმყოფოს გამგეს.
180. **ჩუბინიძეს** პიმენ ნესტორის-ძეს — თბილისის № 5 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორს.
181. **ჩხეტარაშვილს** ივანე ნესტორის-ძეს — მახარაძის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
182. **ჩხეიძეს** მამია იასონის-ძეს — ფოთის ქალაქის საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
183. **ცაგურიას** თამარ ვლადიმერის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმს.
184. **ცერცვაძეს** ნინო გიორგის ასულს — ბორის სამშობიარო სახლის ექიმს.
185. **ცინცაძეს** მეგენია მიხეილის ასულს — საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის ექიმს.
186. **ცნობილაძეს** ვალერიან სტეფანეს-ძეს — თბილისის 26-ე პოლიკლინიკის განყოფილების გამგეს.
187. **ცქიტიშვილს** თამარ იოსების ასულს — პენსიონერს.
188. **ცხვედიანს** პაული ალექსის-ძეს — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს პირველი თერაპიული განყოფილების ექიმს.
189. **ძიძიგურს** ელენე ალექსანდრეს ასულს — თბილისის ბავშვთა პირველი პოლიკლინიკის უბნის ექიმს.
190. **წერეთელს** პეტრე ვლასის-ძეს — თეძოლოს რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
191. **წერეთელს** ქეთევან კონსტანტინეს ასულს — თვალის სნეულებათა რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმს.
192. **ფილოსანს** ვალერიან გიორგის-ძეს — თბილისის № 3 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორს.
193. **წულუკიძეს** ალექსანდრე კალისტრატეს-ძეს — მცხეთის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის მთავარ ექიმს.
194. **წურწუმიას** ნიკოლოზ ფილიპეს-ძეს — ახალქალაქის პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.
195. **ჭავჭავაძეს** ივანე ალექსის-ძეს — მახარაძის რაიონის ლაითურის საუბნო საავადმყოფოს ექიმს.
196. **ჭეიშვილს** აკაკი კონსტანტინეს-ძეს — სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სექტორის ხელმძღვანელს.
197. **ჭყონიას** მიხეილ ივანეს-ძეს — გარდაბნის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ექიმს.
198. **ხარისჭირაშვილს** პეტრე ანტონის-ძეს — ბორჯომის ქალაქის პოლიკლინიკის ექიმს.
199. **ჯაველიძეს** ლეონიდ ვალერიანის-ძეს — ა/კ სამხედრო ოლქის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის უფროსს.
200. **ჯაშს** გალინა უშანგის ასულს — ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექიმს.
201. **ჯვარიშვილს** გედეონ გაიოზის-ძეს — ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს.
202. **ჯინჭარაძეს** თამარ ივანეს ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორისა

1. **არაზაშვილს** იოსებ იაკობის-ძეს — თბილისის № 40 აფთიაქის მმართველს.
2. **ბერიძეს** თამარ სოლომონის ასულს — მთავარი საფთიაქო სამმართველოს თბილისის საკონტროლო ანალიზური საფთიაქო ლაბორატორიის ქიმიკოს-ანალიტიკოსს.
3. **ბიგვავას** ლეო ილარიონის-ძეს — თბილისის ქალაქის მე-2 საავადმყოფოს აფთიაქის მმართველს.
4. **ბურაძეს** ნოშრევან რაქდენის-ძეს — თბილისის № 26 აფთიაქის მმართველს.
5. **გაბადაძეს** ტიტე ვასილის-ძეს — მთავარი საფთიაქო სამმართველოს უფროსს.
6. **გაბიტაშვილს** გიორგი ნიკოლოზის-ძეს — გურჯაანის ცენტრალური რაიონული აფთიაქის ფარმაცევტს.
7. **ვიშნევსკის** ვალერიან ერმოლეს-ძეს — ბაღდადის № 4 აფთიაქის მმართველს.
8. **თაბაგარს** ილია სერგოს-ძეს — თბილისის № 14 აფთიაქის მმართველს.
9. **კირტავიას** სერგო ნესტორის-ძეს — მთავარი საფთიაქო სამმართველოს აფხაზეთის განყოფილების მმართველის მოადგილეს.
10. **მაკავარიანს** ნინო მიხეილის ასულს — თბილისის ბავშვთა № 3 საავადმყოფოს აფთიაქის მმართველს.
11. **მიქაძეს** ივლიტა ბესარიონის ასულს — მთავარი საფთიაქო სამმართველოს თბილისის საკონტროლო ანალიზური საფთიაქო ლაბორატორიის ქიმიკოს-ანალიტიკოსს.
12. **სანდომისაშვილს** კონსტანტინე ილიას-ძეს — მთავარი საფთიაქო სამმართველოს რესპუბლიკური საკონტროლო-ანალიზური საფთიაქო ლაბორატორიის უფროსს.
13. **ჩიჩუას** გრიგოლ არსენის-ძეს — ბორჯომის ცენტრალური რაიონული აფთიაქის მმართველს.
14. **ჩხაიძეს** ნოე ასლანის-ძეს — თბილისის № 12 აფთიაქის მმართველს.
15. **ჭიპინაძეს** მიხეილ ივანეს-ძეს — მთავარი საფთიაქო სამმართველოს ქუთაისის სარაიონთაშორისო კანტორის მმართველს.
16. **ჭუმბურიძეს** არჩილ ვლადიმერის-ძეს — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს აფთიაქის მმართველს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. კვაშაძე.**

თბილისი, 1966 წლის 18 ივნისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, მედიცინის მუშაკთა დღესასწაულთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **აბრამოვა** ვალერია ფრანცის ასული — თბილისის მე-9 პოლიკლინიკის მედიცინის და
2. **ახალშენაშვილი** დარიკო იასონის ასული — დუშეთის რაიონული საავადმყოფოს მედიცინის დ.
3. **ახობაძე** გალინა მიტროფანეს ასული — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს უფროსი მედიცინის და.
4. **ბაკურაძე** შუშანა ლონგინოზის ასული — ამბროლაურის რაიონული საავადმყოფოს მედიცინის დ.
5. **ბალავაძე** ეკატერინე ერასტის ასული — თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს განყოფილების უფროსი მედიცინის დ.
6. **ბახტაძე** შუშანა პოლიკარპეს ასული — ბორჯომის რაიონული საავადმყოფოს მედიცინის დ.
7. **ბებიაშვილი** ქეთევან თეიდორეს ასული — თბილისის ბავშვთა მე-13 პოლიკლინიკის მედიცინის დ.
8. **ბეგიაშვილი** ანა ვლადიმერის ასული — ზნაურის რაიონის სანიტარული ეპიდემიური სადგურის ექიმის თანაშემწე.
9. **ბეგლიარაოვა** გოჰარ რუბენის ასული — თბილისის № 1 აფთიაქის დეფექტარი.
10. **ბენიაშვილი** სიმონ მიხეილის ძე — თბილისის ქალაქის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ექიმის თანაშემწე.
11. **გაბედავა** სოფიო ქუთათელის ასული — წალენჯიხის № 2 ჩის ფაბრიკის საბავშვო ბაღის უფროსი მედიცინის დ.
12. **გამყრელიძე** ნინო დავითის ასული — საჩხერის რაიონული საავადმყოფოს მედიცინის დ.
13. **გვენეტაძე** მარო ამბროსის ასული — ტყიბულის ქალაქის საავადმყოფოს მედიცინის დ.
14. **გიგინეიშვილი** ნადია ევგენის ასული — აბაშის რაიონის მარანის საუბნო საავადმყოფოს მედიცინის დ.
15. **გოგიბერიძე** მარიამ ვლადიმერის ასული — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს უფროსი მედიცინის დ.
16. **გუგუშვილი** ქეთევან ელიზბარის ასული — კურორტ აბასთუმნის სანატორიუმ „ზეკარის" მედიცინის დ.
17. **ეკიზაშვილი** თამარ სიმონის ასული — თბილისის ბავშვთა მე-2 საავადმყოფოს უფროსი მედიცინის და.
18. **ელიოზარაშვილი** ელენე დავითის ასული — თბილისის ქალაქის მე-2 საავადმყოფოს უფროსი მედიცინის დ.
19. **ელოშვილი** ალექსანდრე ილიას-ძე — თბილისის, კიროვის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ექიმის თანაშემწე.
20. **ვარდიშვილი** ნელი სარქისის ასული — თბილისის ქალაქის ინფექციური საავადმყოფოს უფროსი მედიცინის დ.
21. **ვახნიანსკაია** მართა ლევის ასული — რესპუბლიკური ბავშვთა საავადმყოფოს მედიცინის დ.
22. **ვენგრაფინოვსკაია** ბრონისლავა ვლადისლავის ასული — სოხუმის № 4 აფთიაქის რეცეპტორ-კონტროლიორი.
23. **ვერმიშენკო** ეკატერინე ალექსანდრეს ასული — თბილისის ქალაქის მე-8 საავადმყოფოს უფროსი მედიცინის დ.
24. **ზახარიკი** ვასილ გრიგოლის ძე — ბულერიფშის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ექიმის თანაშემწე.
25. **ზვამბაია** ალექსანდრე გიორგის ძე — მესტიის რაიონული საავადმყოფოს აფთიაქის გამგე.
26. **თაფლაძე** პროკოფი მიხეილის-ძე — მთავარი საფთიაქო სამმართველოს ცენტრალური საფთიაქო საწყობის განყოფილების გამგე.
27. **თოდუა** ფენია ესტატეს ასული — ხობის რაიონული საავადმყოფოს მედიცინის დ.
28. **კარპოვი** თეოდორე ვასილის-ძე — თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს სანიტარი.
29. **კოკოევა** ეკატერინე მაქსიმეს ასული — თბილისის მე-3 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის სანიტარი.
30. **კონელიძე** ზეკიე ისმაილის ასული — რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ლაბორანტი.
31. **ქორჩილავა** ლიდა მალაქიას ასული — კურორტ აბასთუმნის სანატორიუმ „ცისარტყელას" მედიცინის დ.
32. **კორჩიც** იულია ვლადისლავის ასული — სოხუმის № 1 აფთიაქის დეფექტარი.
33. **კრავეიშვილი** - ელენე კლიმენტის ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის უფროსი ექიმის თანაშემწე.
34. **ლეკავა** აკი ძეკიას-ძე — წალენჯიხის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის განყოფილების გამგე.
35. **მაისურაძე** ქეთევან გრიგოლის ასული — თბილისის რკინიგზის ბავშვთა საავადმყოფოს პოლიკლინიკის მედიცინის დ.
36. **მაღლაკელიძე** ლუბა კირილეს ასული — თბილისის ტუბერკულოზის № 2 დისპანსერის უფროსი მედიცინის დ.
37. **მარუჩაშვილი** ეგეგენია მიხეილის ასული — თბილისის მე-17 პოლიკლინიკის მედიცინის დ.
38. **მაჭარაშვილი** თამარ დავითის ასული — ლაგოდეხის რაიონული საავადმყოფოს მედიცინის დ.
39. **მგელაძე** ზინაიდა პროკოფის ასული — ახმეტის რაიონული საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების უფროსი მედიცინის დ.
40. **მებაღიშვილი** ოლღა გიორგის ასული — ახმეტის რაიონული საავადმყოფოს სანიტარი.
41. **მეიფარიანი** ელენე ივრდანის ასული — თბილისის ტუბერკულოზის № 2 დისპანსერის მედიცინის დ.
42. **მეიფარიანი** თამარ პეტრეს ასული — თეძოლოს რაიონის სანიტარულ-ეპიდემიური სადგურის ექიმის თანაშემწე.
43. **მიქელაძე** თამარ რფიელის ასული — თბილისის № 9 ბავშვთა მე-11 პოლიკლინიკის უფროსი მედიცინის დ.
44. **მოძმანაშვილი** ბაბეკი ალექსანდრეს ასული — თვალის სნეულებათა რესპუბლიკური საავადმყოფოს უფროსი მედიცინის დ.
45. **მუხაძე** თამარ მიხეილის ასული — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს უფროსი მედიცინის დ.
46. **მჭედლიშვილი** მარიამ ნიკოლოზის ასული — წითელწყაროს რაიონული საავადმყოფოს უფროსი მედიცინის დ.
47. **პეტროვა** ნინო ნიკოლოზის ასული — თბილისის ქალაქის პირველი საავადმყოფოს პირველი თერაპიული განყოფილების უფროსი მედიცინის დ.
48. **რუხაძე** გალინა ნიკოლოზის ასული — რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს უფროსი მედიცინის დ.
49. **სავანელი** ნელი ალექსანდრეს ასული — ბულერიფშის რაიონის ტუბერკულოზის საავადმყოფოს უფროსი მედიცინის და.
50. **სიზონტენკო** ეკატერინე ალექსანდრეს ასული — თბილისის რკინიგზის ტუბერკ

ჯანმრთელობა ჩვენი კეთილდღეობის გურჯია

ლ. საყვარელიძე,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

ჯანმრთელობა ყველაფერზე ძვირფასია. ამაზეა დამოკიდებული ჩვენი შრომის ნაყოფიერება, კეთილდღეობა და ბედნიერება. ამიტომ არის, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მაღალ შეფასებას აძლევენ მედიცინის მუშაკთა წვლილს კომუნიზმის მშენებლობაში. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება „მედიცინის მუშაკის დღის“ დაწესების შესახებ. როგორც გრძანებულებით არის გათვალისწინებული, მედიცინის მუშაკთა დღესასწაული გაიმართება ყოველწლიურად ივნისის მესამე კვირას. ეს თარიღი ისტორიულად არის დაკავშირებული საბჭოთა ჯანმრთელობის განვითარებასთან. 1918 წლის 11 ივლისს დიდმა ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს ჯანმრთელობის საბალნო კომისარიატის შექმნის შესახებ.

საბჭოთა საქართველოში შეტაღრთულ პირობებში დაიწყო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების შექმნა. საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო უაღრესად ძნიმე მემკვიდრეობა — გაპარტახებული საბალნო მეურნეობა. გაჩანგებული იყო სამკურნალო ჭისელი. მოსახლეობას მუსრს ავლებდა ქოლერა, ტიფი, მალარია, ბავშვთა ინფექციური სნეულებანი. ამ დროისათვის საქართველოში არსებობდა მხოლოდ 45 საავადმყოფო 1.093 საწოლით. 30 ათას მცხოვრებზე დაახლოებით ერთი ექიმი მოდიოდა, სპეციალიზებულ სამედიცინო სამსახურზე კი ოცნებაც არ შეიძლებოდა.

კომუნისტური პარტია ახორციელებდა ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლების ლენინური პროგრამას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი, ადგილებზე — ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები, გაფართოდა საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ჩამოყალიბდა ჯანმრთელობის დაცვის ახალი პროგრესული დაწესებულებები — დისანსერები, პროფილაქტორიუმები, სანეტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახური და სხვ. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე ლიკვიდირებულ იქნა ქოლერა, საგრძნობლად შემცირდა პარტახტიანი და შებრუნებითი ტიფით დაავადება, საბჭოთა ჯანდაცვის ორგანოები შეუდგნენ წარსულის ისეთი მძიმე-მემკვიდრეობის — სოციალური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას, როგორიც არის ტუბერკულოზი და ვენერიული სნეულებანი.

საბჭოთა საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის პირველი ორგანიზატორები იყვნენ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის პირველი სახალხო კომისარი გ. კუჭაიძე, სახალხო კომისრის მოადგილე პ. კიკალიშვილი, სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები ი. ფრანგულიანი, გ. ვაჩაძე, ჯ. ხუტულაშვილი და სხვები.

1925 წელს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ჩვენს რესპუბლიკაშიც ძირითადად დასრულდა სახალხო მეურნეობის აღდგენა. პარტიამ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ახალი ამოცანები დაუსახა, დაავალა მათ უზრუნველეყოთ მუშათა და კოლმეურნეთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, გაიხსნა სამედიცინო პუნქტები საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დიდი ყურადღება დაეთმო პროფესიულ დაავადებათა და საწარმოო ტრავმატიზმის შესწავლას, მის პროფილაქტიკას. ამ პერიოდში სამრეწველო რაიონებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ცენტრიდან მუდმივ სამუშაოზე გაიგზავნა მედიცინის კვალიფიციურ მუშაკთა მნიშვნელოვანი რაზმი; დიდი თანხები გამოიყო სამედიცინო დახმარების ქსელის განსაფართოებლად და ახალ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა შენებლობისათვის. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა პირნათლად შეასრულეს პარტიის მიერ დასახული ამოცანები.

მედიცინის მუშაკებმა დაუღალავი, გმირული შრომით არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს სამამულო ომის ისტორიაში. ვინ მოთვლის, რამდენი დაჭრილი მებრძოლის სიცოცხლე და ჯანმრთელობა იხსნეს მათ. არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, თავიდან იქნა აცილებული საშიში ეპიდემიები როგორც ფრონტზე, ისე ზურგში — მოსახლეობაში. ამ დიდ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართველმა მედიცინის მუშაკებმა.

ომისშემდგომ წლებში კიდევ უფრო განვითარდა საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე.

ჩვენს რესპუბლიკაში დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. მარტო უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში აშენდა 24 ახალი საავადმყოფო და 23 პოლიკლინიკა. 6.000-ით გაიზარდა საავადმყოფოს საწოლთა ფონდი. საგრძნობლად გაფართოვდა საფეთიაქო ქსელი.

რესპუბლიკაში შექმნილია ახალი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი: კარდიორევმატოლოგიური და პროფესიული პათოლოგიის, ინფექციური და ამცრელი კაბინეტები. რესპუბლიკური და ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოების ბაზაზე ჩამოყალიბდა გულმკერდის ქირურგიის განყოფილებები. 1964 წლიდან რესპუბლიკის წამყვან კლინიკებში ფართოდ ინერგება რენინმაციის საშუალებანი.

საგრძნობლად გაუმჯობესდა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა აღჭურვა სამედიცინო ინვენტარითა და მოწყობილობით. ამჟამად სამედიცინო დაწესებულებები უზრუნველყოფილია ისეთი უახლესი აპარატურით, როგორიც არის ენცეფალოგრაფი, კარდიოგრაფი, ხელოვნური თირმელი, ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატი და სხვ.

სამედიცინო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებასთან ერთად დიდი უურადღება ექცევა სამედიცინო კადრების ცოდნის ამაღლებას. ახლა ექიმთა რაოდენობა ჩვენს რესპუბლიკაში აღემატება თურქეთში, ირანში, შვეიცარია და ფინეთში მომუშავე ექიმთა რიცხვს ერთად აღებულს. საქართველოში ყოველ 10 ათას მცხოვრებზე 33 ექიმი მოდის. მაშინ როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებთა იმავე რაოდენობაზე მოდის 12 ექიმი, საფრანგეთში — 10.6, ინგლისში — 8.8, ფინეთში — 5.8, თურქეთში — 2.7.

ჩვენი რესპუბლიკის ექიმთა კადრებით უზრუნველყოფის საქმეში დიდი როლი შესრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტმა, უფრო მოგვიანებით კი — სამედიცინო ინსტიტუტმა. ქართველ ხალხს საშუალება მიეცა მშობლიურ ენაზე მიეღო უმაღლესი სამედიცინო განათლება, რაზეც წარსულში ოცნებაც არ შეიძლებოდა.

ამჟამად სამედიცინო ინსტიტუტში მუშაობს 81 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და 171 მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს გარეთ ფართოდ არის ცნობილი სამედიცინო ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მეცნიერების — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების კ. ერისთავის, ა. ზურაბაშვილის, ა. წულუკიძის, ვ. ყღენტის, ვ. ასათიანის, ი. ტატიშვილის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების პროფესორების პ. გელბახიანის, დ. გედევანიშვილის, ა. ბაკურაძის და სხვათა სახელები.

სამედიცინო ინსტიტუტმა თავისი დაარსებიდან დღემდე მოამზადა 18.280 სპეციალისტი. ინსტიტუტის ბაზებზე დამუშავებული და დაცულია 200-ზე მეტი სადოქტორო და 900-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია.

ექიმთა სპეციალიზაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი, სადაც დღემდე სპეციალიზაციისა და დახელოვნების ციკლი გაიარა 27.000 ექიმმა, მათ შორის ექიმებმა მოძმე რესპუბლიკებიდან. თავიანთ ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას ფართოდ უზიარებენ ახალგაზრდა სპეციალისტებს ინსტიტუტის სახელმოხვეჭილი მეცნიერები პროფესორი გ. ხუნდაძე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ნ. ანთელავა, პ. სარაჯიშვილი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ს. ხეჩინაშვილი, გ. მარუაშვილი, კ. ჩაჩავა და სხვები.

დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ჩვენი სამედიცინო სამეცნიერო დაწესებულებები. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რესპუბლიკაში სამედიცინო პროფილის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა მოგვაწოდეს 150-ზე მეტი წინადადება სამედიცინო პრაქტიკაში დასანერგავად და თეორიული ხასიათის მრავალი შრომა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ტვინის ნატიფი არქიტექტონიკის შესწავლა და სინაფსური თეორიის შექმნა, ორიგინალური აპარატის ვაკუუმ-ექსტრაქტორის კონსტრუირება და მისი გამოყენება სამეანო პრაქტიკაში, ნაყოფის ელექტროკარდიოგრაფიული შესწავლა ინტრანატალურ პერიოდში, ხელოვნური შარდის ბუშტის შექმნა და მისი გამოყენება უროლოგიურ პრაქტიკაში ორგანოს აფთვისებიანი სიმსივნით დაავადებისას, საშვილოსნოს ატონიური სისხლდენის შემაჩერებელი სხვადასხვა ეფექტური მეთოდები, ოტოსკლეროზის ოპერაციული მკურნალობა და სხვ.

ქართველი მეცნიერი მედიკები ინტენსიურ და ნაყოფიერ კვლევითს მუშაობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების პრობლემების პრაქტიკულად გადაჭრაში. ისინი მუდმივ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ რაიონების სამედიცინო დაწესებულებათა ქსელს. პრაქტიკოს ექიმებს, ჯანდაცვის ორგანიზატორებთან ერთად წყვეტენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ყოველდღიურ აქტუალურ საკითხებს.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მთლიანად მოისპო ისეთი მწვავე ინფექციური დაავადებანი, როგორიც არის ქოლერა, უკვალი, პარტახტიანი ტიფი, შებრუნებითი ტიფი, მალარია, პოლიომიელიტი, ხოლო დიფთერიის, ბრუცელოზის, ტეტანუსისა და ციმბირის წყლულით დაავადების ერთეული შემთხვევებიღა. საგრძნობლად შემცირდა ნაადრევი სიკვდილიანობა.

რესპუბლიკაში მრავალი მოწინავე სამედიცინო დაწესებულებაა. დიდ წარმატებებს მიიღწევა თბილისის სახელმწიფო დახმარების სადგურმა (მთავარი ექიმი ა. ჩიქოვანი), სადაც თითქმის ლიკვიდირებულია გამოძახებებზე დაგვიანების შემთხვევები. მთელი კოლექტივი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ ვალდებულებას, ამის შედეგად ამ სამედიცინო დაწესებულებამ დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა მოსახლეობაში.

სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს მოსახლეობა წყალტუბოს, წინაურის, ზესტაფონის, ონის, ბორჯომის, ბაკურიანის, ფასანაურის, ბაზალეთის, ბოლნისის, ხაშურის, ზუგდიდის, ფოთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ფოთის, ბაღდათის, ვანის, ხონის, ტყიბულის, ტყვარჩელის, ჭიათურის, ონის, ამბროლაურის, ლაგოდეხის, ყვარლის, ბოლნისის, ბორჯომის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის, ბაღდათის, ოზურგეთის, ლაგოდეხ

ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲛᲔᲮᲝᲢᲒᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ საზოგადოებრივობა დიდი ინტერესით შეხვდა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის, ცნობილი პეიზაჟისტის რუსუდან ჯავრიშვილის ნამუშევრების გამოფენას, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა ქუთაისის სურათების გალერეაში. გამოფენა მოაწყეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, რესპუბლიკის სურათების სამხატვრო გალერიამ და საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ.

ათვალიერებთ გამოფენის დარბაზს და თითქოს მოგზაურობთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, კიდლებიდან შემოგყურებთ ქართლისა თუ გურიის, კახეთისა თუ ფშავ-ხევსურეთის ულამაზესი პეიზაჟები. არ დარჩენილა ჩვენი რესპუბლიკის თითქმის არც ერთი კუთხე, სადაც მხატვარ ქალს არ ემოგზაუროს და თავისი ფუნჯით არ აესახოს საქართველოს ახალმშენებლობანი და ისტორიული ძეგლები, სოფლის სურათები თუ ცარიელწვეული უბნები. დამთვალიერებლები ინტერესით იცნობიან „ძეძმის ხეობას“; „რაჭის ახალ გზას“, „გრემს“, „ჩემი სოფლის დილას“, და სხვ.

საქართველოს პეიზაჟების ტეტრიდით გამოფენაზე წარმოდგენილია უცხოეთში მოგზაურობის დროინდელი სურათების სერია, მაგალითად, „შოპრის ბაღი“, „კოპაოვის რატუშა“, „პეტროწონის მონასტერი“ და სხვ.

გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე პორტრეტები, ნატურმორტები, სულ ექსპონირებულია 110-ზე მეტი ნამუშევარი.

ᲡᲐᲮᲔᲥᲐᲠᲘ ᲜᲝᲠᲩᲔᲑᲘ

□ **ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ.** (ხაკ. კორ.). ქალაქის ცენტრში, ოქტომბრის ქუჩაზე გაიხსნა ორსართულიანი საბავშვო ბაღი ეხგურეკლის მშენებელთა 100 ბავშვისათვის.

ბაღს აქვს საწოლი, სათამაშო, საძიკვალინო ოთახები, მუსიკალური დარბაზი და სხვ.

□ **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** (ხაკ. კორ.). კიკვიძის ქუჩაზე გაიხსნა № 4 საბავშვო ბაღის ახალი შენობა.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲔᲓᲘᲡᲔᲠᲗᲐ

ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲔᲗ ბავშვებო, დაგიდგათ ნანატრი დრო — დამთავრებული სწავლის შემდეგ არდადეგები! თქვენია ეს ცა, ეს მიწა, ბუნების ეს ლამაზი ფერები, მზე და ჰაერი, ტბები და მდინარეები. ზღვაც არ გაკლებთ ალერსს. ხიბანაკო წითელი ალმები უკვე ფრიალებენ რესპუბლიკის მრავალი პიონერული ბანაკის თავზე. სტუმართმოყვარულად, ფართოდ გაღებულ ალაყაფის კარები ბანაკებმა ბავშვებს, მშობლიურად თბილი სიტყვებით ეგებებიან მათ — კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ბავშვებო!

მაგრამ ვინც ჯერჯერობით ვერ მოხვდა ბანაკში, ან დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში?! — ფაქრი არ არის, არც მაშინ მოიწყენენ ბავშვები. მათ იხმობს ბუნების სიმშვენიერე, ტურისტული მარშრუტები. მოგზაურობა მშობლიურ მხარეში, ლაშქრობები.

რა სჯობს ტკბებოდე ბუნების ამ აუწერელი სილამაზით, ამ მშვენიერი მიდამოებით. ეს **ᲔᲠᲬᲝᲡ** ტბაა ჯავის რაიონში, მდიდარი მწვანე ფერით. გბიბლავს მისი სილურჯე. ეს პიონერები ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გადაიღო სწორედ ამ წარმატაცი ტბის პირად. ისინი სალაშქროდ გადგომიან გზას, სხვებისთვის გამოუსწორიათ, მათ უკან ეიელ-ხივილით ნოიკაფავენ გზას მათი ნორჩი ამხანაგები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ: პიონერები ერწოს (ჯავის რაიონი) ტბის პირას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲩᲐᲘᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲣᲠᲕᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 ივნისი. (საკდესის კორ.). წუხელ, ღამის 1 საათზე ვიოლონჩელისტთა კონკურსის ჟიურიმ გამოაცხადა პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის მესამე საერთაშორისო კონკურსის პირველი ლაურეატებსა და დიპლომანტების სახელები. პირველი პრემია მიეხიკა საბჭოთა ვიოლონჩელისტს **კარინე გეორგიანს.** ორი მეორე პრემია — **არტო ნორასს** (ფინეთი) და **სტეფენ კეიტსს** (ამერიკის შეერთებული შტატები), ორი მესამე პრემია — **კენ-იტირო იასუდას** (იაპონია) და **ელეონორა ტესტელეცს** (სსრ კავშირი). მეოთხე პრემია მიიღო **ლორენც ლესერმა** (ამერიკის შეერთებული შტატები), მეხუთე — **თამარ გაბარაშვილმა** (სსრ კავშირი), მეექვსე — **მიხეილ მაისკიმ** (სსრ კავშირი).

ჩაიკოვსკის სახელობის მესამე საერთაშორისო კონკურსის დიპლომებს გადასცემენ **კორდელია ვოკარსკის** (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), **სტეფან პოპოვს** (ბულგარეთი), **ნატანიელ როზენს** (ამერიკის შეერთებული შტატები), **მარკო სკანოს** (იტალია), **მარიამ ჩაიკოვსკაიას** (სსრ კავშირი).

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ: თამარ გაბარაშვილი.

ᲓᲔᲓᲘᲡᲔᲠᲗᲐ

ტანით მოიკელ, ფეხით მოიკელ, შიერ-მწყურვალი ირე და ნუ ჩაცდგები კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში...

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ჩვენს მეზობლად მეუნაგრე ძია გოლასა და დეიდა ანუშკას მრავალრიცხოვანი ოჯახი ცხოვრობდა. უკეთილშობილეს ადამიანებს ცამეტი ჭალ-ვაჟი ჰყავდათ. მათ შორის სულ უფროსი ცხრამეტი წლისა იყო, უმცროსი კი წლინახევრისა.

— გოლა, რას სჩადიხართ, ღმერთი იწამეთ, რა ამბავია ამდენი შვილები, — გაეხვეწრა ერთხელ მამაჩემი, — მათი სახელების დამახსოვრება მაინც არ გიძნელდებათ?

— რას ამბობ, დავით, ესენი არიან ჩვენი სიცოცხლე, და სიმდიდრე, — უპასუხა გოლამ, — მათი ჩაცმა-დახურვა არ მიჭირს, ისინი ერთიმეორეს თავიანთი გამონაცვლებით მოსავენ. ხაშმელ-სასმელზე ხომ სულაც არ ვწუხვარ, რასაც ვშოულობ და მომაქვს, არაფერი გვიფუჭდება...

რაკი მათი საუბრის დროს იქ ვიდექი, გოლამ მამაჩემი თავისთან მიიხმო და ორაღაც ჩაულაპარაკა, მაგრამ ორიოდე სიტყვას მაინც მოვკარი ყური: „დამიჭერე, ინანებ“.

მას შემდეგ თითქმის ოცდათხუთმეტმა წელმა განვლო და გოლას სიტყვები ახდა. მართლაც რა იქნებოდა, რომ მამაჩემს დაეჭერებინა მისთვის და ამ ქვეყნად მარტოდმარტო, უდაძმოდ არ დავეტოვებინე. გოლას კი შთამომავლობა გაუმრავლდა, დღეისთვის შვილებითა და შვილიშვილებით ოცდათვრამეტი არიან.

რას იზამ, ამბობენ, შეცდომებზე სწავლობენო. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! ყველგან და ყოველთვის ქადაგად ვარ გადაქცეული. ჩემს მეგობარსა და მახლობელს ყოველთვის ვტუქსავ: — რა-გორ, ერთი შვილი რას მიქვიან, ეს ხომ ოჯახის, გვარის, ერისა და ქვეყნის ღალატია-მეთქი!

დაუფიქრებლად ვარ განსაკუთრებულ — ბევრ ბავშვიანი ნაბიჯიანი საოჯახო, განველ და ეთქვა ერთ-ერთ ოჯახ-ოჯახ ... ...